პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 165 (7726)
29 აგვისტო, ოთხშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.



ევროპის ჩემპიონი გიორგი მაკალათია (კლასიკური ჭიდაობა)

დაიბადა 1967 წლის 8 იანვარს ცხაკაიაში.
წონა 81 კგ, სიმაღლე 180 სმ, სპორტსაზოგადოება „განთიადი".
ვარჯიში დაიწყო 1978 წელს ცხაკაიას ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში.
სპორტის ოსტატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით დავითაია.
საუკეთესო სპორტული შედეგები: საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი თანატოლებში, ათამდე საკავშირო ტურნირის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის 1984 წლის ჩემპიონი 1966-67 წლებში დაბადებულთა შორის, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი ჭაბუკებში.

მწვერვალი მწვერვალს მოჰყვება

როგორც ხედავთ, ჩვიდმეტი წლის გიორგი მაკალათიას სპორტულ ბიოგრაფიას უკვე არაერთი თვალსაჩინო გამარჯვება ამშვენებს. ამ წარმატებათა გვირგვინი, რა თქმა უნდა, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული ოქროს მედალია (ეს შეჯიბრება ახლახან გაიმართა პოლონეთის ქალაქ ლოძში და საბჭოთა მოჭიდავეების შთამბეჭდავი გამარჯვებით დამთავრდა: რვა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი — ასეთია საბჭოთა ნაკრების „ნადავლი"). პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრება და პირველი დიდი გამარჯვება! კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი არაფერი მომხდარა: გიორგი მაკალათიამ შარშანდელ და წლევანდელ სპორტულ სეზონში ზედიზედ იმდენი ტურნირი და პირველობა მოიგო, თანაც ისე ოსტატურად და დამაჯერებლად, რომ ევროპის ჩემპიონატზე მისგან მხოლოდ პირველ ადგილს ველოდით. კარზე მომდგარი შეჯიბრების წინ მწვრთნელები, ჩვეულებრივ, პროგნოზს ერიდებიან, მაგრამ დავით დავითაიას მაინც წამოსცდა, ეს ბიჭი ჩემპიონი გახდებაო.

მწვრთნელი და მისი შეგირდი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან.

დავით დავითაია: „მაკალათია ხალიჩაზე პირველად ამ სამი წლის წინ ვნახე, მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში გამოდიოდა. ჩემპიონი არ გამხდარა, მაგრამ ისე თამამად, შეუპოვრად ჭიდაობდა, გადავწყვიტეთ თბილისში ჩამოგვეყვანა სავარჯიშოდ. საბედნიეროდ, არ შევმცდარვართ: მალე ისე დახელოვნდა, რესპუბლიკაში თანატოლებს ტოლს არ უდებდა, ნამდვილი ფალავნის ხასიათი აღმოაჩნდა... წლეულს, მარტში, ფრუნზეში გამართულ საკავშირო პირველობაში გაიმარჯვა და ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებშიც შეიყვანეს. ვიდრე პოლონეთში გაემგზავრებოდა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ცხადია, გამოცდების პერიოდში მთელი დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა, მაგრამ სპორტული ფორმა მაინც შეინარჩუნა... დარწმუნებული ვარ, გიორგის მთავარი გამარჯვებები წინა აქვს, ოღონდ, რა თქმა უნდა, მომავალში გაცილებით მეტი ვარჯიში, მეტი შრომა იქნება საჭირო".

... მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო, როცა უფროსმა ძმამ ცხაკაიას ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის კლასიკური ჭიდაობის სექციაში მიიყვანა. მაშინ აბა ვინ იფიქრებდა, რომ ერთი შეხედვით სუსტი, მოუქნელი ყმაწვილი რამდენიმე წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორად მოგვევლინებოდა.

გიორგი მაკალათია: „ხალვარგარეთ პირველად ვჭიდავე და, მართალი გითხრათ, თავიდან გვარიანად ვღელავდი. ჩემს წონაში თერთმეტი სპორტსმენი გამოდიოდა (სულ ჩემპიონატში თხუთმეტი ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ). ქვეჯგუფში უფრო გამიჭირდა, ვიდრე ფინალში. პირველი ორი შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოვიგე, მაგრამ ნახევარფინალში პოლონელი მეტოქის დასამარცხებლად დიდი ჯაფა დამჭირდა. ამ შეხვედრაში გავიმარჯვე ანგარიშით 9:5, ფინალი კი შედარებით იოლად მოვიგე — იტალიელ ჯენტილე ფაბრს შევხვდი. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი, ილეთებში მოისუსტებდა, თავიდან ორჯერ გადავიყვანე ჩოქბჯენში, ორივეჯერ „დავატრიალე"... საბოლოო ანგარიშია 8:0".

ევროპის ჩემპიონატში გამარჯვება, რა თქმა უნდა, სასიხარულოა და საპატიო, მაგრამ სპორტში მწვერვალებს რა გამოლევს. ახლა გიორგი მაკალათია თანაგუნდელებთან ერთად მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება. გულშემატკივრები კვლავ გამარჯვებას ელიან მისგან.

ელგუჯა სალხინოელი.

იყავით ყურადღებით!

დამთავრდა მატჩი. დაცარიელდა თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნები. მაყურებლები —იმ დღეს კი, ოფიციალური მონაცემების თანახმად, თბილისისა და ალმა-ათის ფეხბურთელთა შეხვედრას 39 ათას 500 კაცი ესწრებოდა — წავიდ-წამოვიდნენ. „ერთგულების ლატარიის" სატირაჟო კომისიის წევრები ერთხანს კიდევ ელოდნენ ბედნიერი ბილეთის მფლობელს, მერე კი მათაც დაამთავრეს საქმე.

მატჩის დაწყებამდე ყველა ბილეთი გაიყიდა, მაგრამ ის, ვისაც წილად ხვდა ერთ-ერთი მთავარი მოგება, რაღაც მიზეზის გამო არ გამოჩნდა.

მიზეზი უსათუოდ შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი იქნებოდა, თორემ ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცმა ნებით თქვას უარი მოულოდნელ სიხარულსა და ბედნიერებაზე.

რა არის ეს, გულმავიწყობა? შესაძლებელია, მით უფრო იმათთვის, ვისაც ბოლომდე არა აქვს შეგნებული ამ წამოწყების მნიშვნელობა. ორიოდე დღით ადრე ნაყიდი ბილეთის პატრონმა მოულოდნელად დაივიწყა, რისთვის იყო იგი განკუთვნილი.

იქნებ — უყურადღებობა ან დაბნეულობა? ესეც ხომ სავსებით გასაგები ადამიანური თვისებებია? გულდასაწყვეტი კია...

კომისიის გადაწყვეტილებით, „უპატრონო ავტომანქანა" დაემატება იმ მოგებათა რიცხვს, რაც თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" მატჩისთვის არის განსაზღვრული. ახე რომ, დღევანდელი მატჩის შესვენების დროს გათამაშდება დამატებით კიდევ ერთი ავტომანქანა.

ძვირფასო მაყურებლებო! ამჯერად მეტი ყურადღება და სიფხიზლე გმართებთ. ყოველი მოგება განკუთვნილია მხოლოდ თქვენთვის, ამიტომ გულდასმით შეამოწმეთ ლატარიის ბილეთები და სატირაჟო კომისიას ახალ თავსატეხს ნუ გაუჩენთ.

„მეგობრობა —84"

სამბისტები იბრძოლებენ ულან-ბატორში

სამბო. 1 სექტემბერს მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორში სტარტს აიღებს სამბისტთა ტურნირი „მეგობრობა — 84" ის პროგრამით. შეჯიბრების ადგილი შემთხვევით როდია შერჩეული. მონღოლეთის მოჭიდავეებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. შარშან კი ამ ქვეყნის სამი ათლეტი მსოფლიო ჩემპიონი გახდა: ჟ. ჟამსრანი (62 კგ), ც. დამდინი (68 კგ), ხ. ბატულგი (90 კგ).

წლეულს ივნისში, როგორც ცნობილია, სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. ამ ტურნირის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ცვლილებები მოხდა და გუნდიც შესამჩნევად გაძლიერდა. ულან-ბატორში საბჭოთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ: მსოფლიოს

(დასასრული მე-4 გვ.)

ალბათ არ არსებობს საქართველოში ადამიანი, რომელსაც გულთან ახლოს არ მიეტანოს ტიმ სევერინის სტუმრობა ძველ კოლხეთში. ეს გახლავთ მოგზაურობა წარსულიდან აწმყოში — ძველი არგონავტების გზით. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა პრესა დიდი გულისყურით მოეკიდა ამ უჩვეულო და ყოველმხრივ სასარგებლო ექსპედიციას.

იხ. მე-2 გვ.

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს კორტებზე ჩოგბურთში. თამაშობენ მინსკელი ს. ჩერკოვსკაია და სიმფეროპოლელი გ. ჩუკარინი.
(შეხვედრის ანგარიში იხ. მე-4 გვ.)

ფინალი კიევში მოეწყობა

დამთავრდა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 44-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. ბოლო შესარჩევი ტურნირი დასრულდა ნიკოლაევში, საიდანაც ფინალის საგზურები მიიღეს დიდოსტატმა მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი, 11 ქულა 15-დან), ოსტატებმა ლ. კულიკოვამ (ერევანი, 10,5). ქ. არახამიამ (თბილისი, 9,5) და ა. მაფრანსკამ (რიგა, 9,5).

ამრიგად, ყველა ფინალისტი ცნობილია. ზემოთ დასახელებულ მოჭადრაკეთა გარდა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: ტალინის ტურნირიდან—ოსტატობის კანდიდატმა ო. რაუსემ (რიგა, 12 ქულა 15-დან), ოსტატებმა ე. ხოროვეცმა (მინსკი, 10), ლ. პოლწარევამ (ლენინგრადი, 9,5), საერთაშორისო ოსტატმა თ. ხუგაშვილმა (თბილისი, 9), ჩელიაბინსკის ტურნირიდან — ოსტატმა ირინა ჩელუშკინამ (ლვოვი, 12), საერთაშორისო ოსტატებმა ა. ახშარუმოვამ (მოსკოვი, 10,5), ე. ეპშტეინმა (კლაიპედა, 9,5) და ოსტატმა გ. სოხატოვამ (ალმა-ათა, 9,5).

ჩემპიონატის ფინალი, რომელიც ქალაქ ვოლოგდაში იყო დანიშნული, მოეწყობა კიევში 14 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე. ფინალში სათამაშოდ პერსონალურად მიწვეული არიან წინა საკავშირო ჩემპიონატის პირველი სამი პრიზიორი — ქვეყნის ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, ოსტატი ლ. მუჩნიკი (ნიკოლაევი) და დიდოსტატი ე. ახმილოვსკაია (ბიჭვინთა), აგრეთვე დიდოსტატები ნ. იოსელიანი, ნ. ალექსანდრია და ლ. სემიონოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ 44-ე ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში თ. ხუგაშვილმა და ქ. არახამიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ საქართველოს ჩემპიონი, 16 წლის ქეთევან არახამია. იგი მეორედ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა მოჭადრაკეთა უმაღლეს ფორუმში. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობდნენ აგრეთვე ოსტატები, დები ნინო და ქეთევან მელაშვილები, ოსტატობის კანდიდატი ზეინაბ ხვედელიძე, მაგრამ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, თუმცა ბრძოლისთვის მონდომება არ დაუკლიათ. ჩანს, საჭიროა მეტი მეცადინეობა.

თენგიზ ნინოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიმ სევერინი: დიახ!

მოგზაურობა „არგოთი"

ამ ორიოდე კვირის წინათ ბათუმიდან სტამბულისაკენ გავაცილეთ ძველბერძნული გალერა „არგო", რომლითაც ცნობილმა ინგლისელმა მოგზაურმა, მწერალმა და მეცნიერმა ტიმ სევერინმა არგონავტთა მითიური მოგზაურობა გაიმეორა და ამით მისი რეალურობა, ისტორიულობა დაასაბუთა. „იაზონის მოგზაურობა" ტიმ სევერინის მესამე ექსპედიცია იყო. ჩვენი გაზეთის მკითხველებს უკვე ვუამბეთ სევერინის წინა ორი ექსპედიციის — „ბრენდანის მოგზაურობისა" და „სინდბადის მოგზაურობის" შესახებ („ლელო" №№ 121, 124, 125, 130, 131). მათ იციან ისიც, რომ იმ პუბლიკაციების ავტორი პაატა ნაცვლიშვილი ტიმ სევერინის მესამე ექსპედიციაში მონაწილეობდა საქართველოს ცხრა სხვა წარმომადგენელთან ერთად. ქართველ მენიჩბეთა წინასაექსპედიციო ვარჯიშისა და ტიმ სევერინის ეკიპაჟთა შეხვედრისათვის მზადების შესახებ მკითხველმა მისივე კორესპონდენციებიდან შეიტყო („ლელო" №№ 138, 139).

დღეიდან კვლავ გთავაზობთ პაატა ნაცვლიშვილის წერილებს, რომლებშიც ასახულია „არგოთი" მოგზაურობისას მიღებული მისი უშუალო შთაბეჭდილებები.

უკანასკნელ ათწლეულებში შესამჩნევად გაძლიერდა ინტერესი საბჭოთა საქართველოს, მისი კულტურისა და ისტორიის, მისი დღევანდელობის მიმართ. მართალია, საქართველო მუდამ იწვევდა დაინტერესებას, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ეს ინტერესი უფრო საყოველთაო, უფრო მრავალმხრივი, უფრო საგნობრივი და კონკრეტული გახდა. ცნობილი ქართველოლოგი ბერნარ უტიე ამბობს: „ძველი ქართული კულტურისა და მეცნიერების შესწავლის გარეშე ძნელი იქნებოდა ზოგადად მსოფლიო კულტურის ზუსტი შეფასება". ამ ფონზე ბუნებრივად ჟღერს ტიმ სევერინის სიტყვები: „მე საქართველოში ჩამოვედი, როგორც სტუდენტი, ჩამოვედი ქართული კულტურისა და ისტორიის შესასწავლად". ამ ფონზე ბუნებრივია ისიც, რომ მეცნიერები, და არა მარტო მეცნიერები, ცხოველი ინტერესით მოილტვიან საბჭოთა საქართველოსაკენ, უძველესი კოლხეთისა და იბერიისაკენ, ეცნობიან მის უაღრესად საინტერესო დღევანდელობას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, კულტურას, საქართველოს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, მოყოლებული ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთიდან. ერთგვარად ამ საყოველთაო ინტერესის დასტური იყო ტიმ სევერინის ექსპედიცია, რომელმაც ცხადყო, რომ ბერძნებს ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში შეეძლოთ გასულიყვნენ ოიკუმენის — მათთვის ცნობილი სამყაროს გარეთ და კოლხეთის ხაპირებამდე მოეღწიათ დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნეში, ესე იგი 3300 წლის წინათ. მეორე მხრივ, სევერინის ექსპედიციისათვის ნათელი გახდა ის, რაც ჩვენთვის აქამდეც კარგად იყო ცნობილი — რომ არგონავტებს კოლხეთში უნდა დახვედროდა იმ დროისათვის ერთობ ძლიერი სახელმწიფო განვითარების საკმაოდ მაღალი დონით. ეს ფაქტი სევერინისათვის, მისივე სიტყვებით, პრინციპული მნიშვნელობისა გახლდათ საკუთარი მეცნიერული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად და ეს მან სიამოვნებით აღნიშნა საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და კულტურის ძეგლების გაცნობის შემდეგ.

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, სევერინის ექსპედიციამ მიმდინარე წლის 3 მაისს აიღო სტარტი საბერძნეთის ქალაქ ვოლოსიდან — ანტიკური იოლკოსიდან, საიდანაც 33 საუკუნის წინათ იაზონი და ელადის სხვა გმირები გამოემართნენ აიეტის სამეფოსაკენ. ექსპედიცია თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური გახლდათ: „არგოს" ეკიპაჟში იყვნენ ინგლისელები, ირლანდიელები, კანადელები, ბერძნები, თურქები. საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის წინ ათი თურქი მენიჩბე სევერინს გამოეთხოვა და უკვე ჩვენს წყლებში მათი ადგილი საქართველოს წარმომადგენლებმა დაიკავეთ.

რესპუბლიკის ტელევიზია, რადიო, ჩვენი პრესა სისტემატურად აშუქებდა საქართველოში თანამედროვე არგონავტთა მოგზაურობის ამბებს. გადაღებულია დიდძალი ვიდეო- და კინომასალა, რომლის საფუძველზეც საქართველოს ტელევიზიამ, ალბათ გახსოვთ, ექვსი გადაცემისაგან შემდგარი ციკლი მოამზადა და 13-18 აგვისტოს გადასცა ეთერში; 19 აგვისტოს კი „მოგზაურთა კლუბის" მორიგ გამოშვებაში სევერინის ექსპედიციის შესახებ ცენტრალურმა ტელევიზიამაც მოუთხრო ტელემაყურებელს.

ვოლოსიდან გამოსვლის შემდეგ, ორ თვე-ნახევრის განმავლობაში „არგომ" გაიარა ეგეოსის ზღვა, ანტიკური ჰელესპონტი — დღევანდელი დარდანელის სრუტე, პროპონტიდა ანუ მარმარილოს ზღვა, გაიარა ბოსფორი, სამხრეთით, ანატოლიის, პაფლაგონიისა და თემისკირის სანაპიროების გასწვრივ გადასერა შავი ზღვა და 1984 წლის 21 ივლისს საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში შემოვიდა.

ფოთში შეკრებაზე მყოფ საქართველოს ნიჩბოსნებს ჯერ კიდევ 18 ივლისს გვითხრეს, რომ „არგო" 21-ში შემოვიდოდა. 19 ივლისს „ლელოში" პატარა კორესპონდენციაც გამოვგზავნე, სადაც ვწერდი, დღეს, 21 ივლისს „არგო" საქართველოს სანაპიროებს მოადგება-მეთქი და რედაქციას ვთხოვდი ეს მასალა სწორედ 21 ივლისის ნომერში დაებეჭდა. ბათუმში 20 ივლისს, გვიან საღამოს ჩამოვედით ფოთიდან. ვიდრე სასტუმროში დაგვაბინავებდნენ, მთელი ოთხი საათი ნავმისადგომთან ვიდექით და დამხვდურთაგან კიდევ ერთხელ ვისმენდით უკანასკნელ ამბებს იმის შესახებ, რომ ამინდის გაუარესების გამო „არგო" რამდენიმე დღით დაიგვიანებდა. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა! ხვალ მკითხველი გაზეთს გაშლის და „არგო" საქართველოში შემოვიდაო, წაიკითხავს, რაც მტკნარი სიცრუე იქნება. მოდი და უხსენი მერე მკითხველს, რომ ჩემს ადგილას ყველა ჟურნალისტი, რომელიც თავისი გაზეთის პრესტიჟზე ზრუნავს, ასევე მოიქცეოდა, რომ ეს უზუსტობა უამინდობის ბრალია მხოლოდ და არა ჩემი უპასუხისმგებლობისა თუ აჩქარებისა. თბილისში დარეკვას აზრი არ ჰქონდა — გაზეთი უკვე იბეჭდებოდა. ერთადერთ იმედად ისღა დამრჩა, რომ რედაქტორი ალბათ მაინც შემოწმებდა ჩემს ინფორმაციას.

სანამ სასტუმროს ნომრებში დავნაწილდებოდით, შეკრების ხელმძღვანელმა ჯუმბერ ჰანტურიამ და საქართველოს სპორტკომიტეტის აფროსნობა-ნიჩბოსნობის განყოფილების უფროსმა გრიგოლ ფოცხიშვილმა მეორე დილისთვის პლაჟზე გასვლა და ვარჯიში დაგვიგეგმეს.

გაზეთში მოსალოდნელ ლაფსუსზე ფიქრმა ძილი გამიფრთხო და დილაადრიან ავდექი. სრულიად შემთხვევით გავიგეთ, რომ „არგო" უკვე მოსდგომოდა თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს და ცხრა საათზე იახტებისა და კატერების ფლოტილია „ტოვარიშჩის". ფლაგმანობით მის შესახვედრად უნდა გასულიყო ბათუმიდან. ჩვენ კი ცხრა საათზე პლაჟზე ვაპირებდით გასვლას.

ასე იყო თუ ისე, ზედ წკიპზე მივუსწარით „ტოვარიშჩს" და ღია ზღვაში გავედით. ალბათ გასაგები იყო ჩვენი უკმაყოფილება იმით, რომ დროზე არ გაგვაფრთხილეს, რომ საუზმეც ვერ მოვასწარით, მაგრამ მე ამის მიუხედავად საოცრად კმაყოფილი ვიყავი, რადგან გაზეთში გაგზავნილი ჩემი კორესპონდენცია ზუსტი აღმოჩნდა. თუმცა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იმ ჩემს მიერ უკვე ყბადაღებულ კორესპონდენციაში ერთი უზუსტობა მაინც გაიპარა. როგორც მკითხველს ახსოვს, მე ვწერდი, რომ „არგომდე" იახტა „კოლხიდა" მიგვიყვანს-მეთქი, მაგრამ ცენტრალური ტელევიზიის გადამღებ ჯგუფს „მოგზაურთა კლუბის" საგანგებო გადაცემის სცენარი სხვანაირად ჰქონდა შედგენილი: მთავარი როლი აქ „ტოვარიშჩს" უნდა ეთამაშა.

და აი, ჩვენ „ტოვარიშჩზე" ვართ. თავის მხრივ, ამ ხომალდზე ყოფნა უკვე ბადებს რაღაც რომანტიკულ, ამაღლებულ განცდას. სხვა შემთხვევაში ეს ალბათ ასეც იქნებოდა, მაგრამ იმ დღეს ჩვენ ყველანი უფრო რომანტიკული და ამაღლებული განცდის მოლოდინით ვიყავით სავსენი — „არგოსთან" შეხვედრის მოლოდინით.

„არგო" ჯერ არ ჩანდა. ჩვენ გონიოსაკენ მივდიოდით. პირქარი უბერავდა და „ტოვარიშჩს" ძრავა ჰქონდა ჩართული.

მკითხველთა დიდმა ნაწილმა ალბათ იცის, რომ „ტოვარიშჩი" ერთ-ერთი უდიდესი აფრებიანი ხომალდია მსოფლიოში. ეს საშანძიანი სასწავლო ოჩხომელი ხერსონის საზღვაო სასწავლებელს ეკუთვნის და მასზე პრაქტიკას გადის შავი ზღვის აუზის ყველა საზღვაო სასწავლებლის სტუდენტობა. იმხანად „ტოვარიშჩზე" ოდესის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სკოლის სტუდენტები იყვნენ. საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობის თხოვნით, სევერინის ექსპედიციასთან შესახვედრად გემზე საგანგებოდ მოიწვიეს ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსანტებიც, რომლებმაც რამდენიმე დღით ადრე დაამთავრეს საზღვაო პრაქტიკა „ტოვარიშჩზე".

უცებ ვიღაცამ იყვირა, „არგო" გამოჩნდაო და ყველანი გემბანზე გამოვცვივდით: „ტოვარიშჩის" მთელი ეკიპაჟი, კურსანტები, ჟურნალისტები, კინო- და ტელეოპერატორები, ჩვენც — მენიჩბეები. ეს ვეება ხომალდი ცალ-გვერდზე გადაიხარა!

შორს, დილის ნისლში, აფრაგაბერილი გალერა გამოჩნდა. მერე ნელ-ნელა მოახლოვდა, მაგრამ მაინც იმდენად პატარა და უმწეო იყო, ერთი წუთით შემეცოდა კიდეც, ტალღებისა და უამინდობის პირისპირ რომ წარმოვიდგინე.

„არგოზე" ორი მაშხალა გაისროლეს. რამდენიმე წამის განმავლობაში ხომალდზე თეთრი კვამლის ნაძვი იდგა წვერზე ორი წითელი სათამაშოთი. მერე კვამლი დაიწმინდა და ბინოკლში კარგდ გამოჩნდნენ მამაცი მეზღვაურები. ისინი ხელების ენერგიული მოძრაობით მიესალმებოდნენ მათ შესახვედრად ღია ზღვაში გასულ ფლოტილიას. „ტოვარიშჩზე" ბრძანება გასცეს, მატროსებმა რეებზე თავიანთი ადგილები დაიკავეს და მეზღვაურული სალამი მისცეს თანამედროვე არგონავტებს. „არგოს" უკვე გადმოელახა თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი, მის ცხვირზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ალამი ფრიალებდა. ბინოკლში გამოჩნდა „არგოს" თეთრ სწორკუთხა გროტზე წითლად დახატული სამი მეომრის ფიგურა. მეომრებს ხელში ფარები და შუბები ეჭირათ. ფარებზე ვერძის თავები იყო გამოსახული. ბინოკლში მოჩანდა ნიჩბებიც, რომლებსაც მალე ჩვენ, საქართველოს მენიჩბეები უნდა მივსხდომოდით. ნიჩბები იმ მომენტში არ სჭირდებოდათ და ისინიც მშვიდად შრებოდნენ მზეზე.

„არგოს" და მის ეკიპაჟს, პირველ ყოვლისა, აუცილებელი სასაზღვრო ფორმალობა უნდა გაევლოთ. სხვათა შორის, ჩვენმა მესაზღვრეებმა ეს ფორმალობაც სიმბოლურად ჩაატარეს: მათ საჭირო აღნიშვნები გააკეთეს სტუმართა პასპორტებში, ეკიპაჟის წევრთა ჯანმრთელობით დაინტერესდნენ და საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღუთქვეს. ჩვენი მესაზღვრეების კოლეგიალური დამოკიდებულების წყალობით პირველნი „არგოზე" საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები გადავიდნენ კომიტეტის თავმჯდომარის ნუგზარ ფოფხაძის მეთაურობით. „ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს ტელერადიოკომიტეტი საბჭოთა კავშირის სახტელერადიოს სახელით ტიმ სევერინის ექსპედიციის უშუალო მასპინძელი იყო ჩვენს ქვეყანაში. ბინოკლიდან კარგად ჩანდა, როგორ გადავიდა „არგოზე" საქართველოს ტელევიზიის გადამღები ჯგუფი. ტიმ სევერინმა ინტერვიუ მისცა საბჭოთა ტელევიზიას. ჩვენი „მოამბის" დავალებით მას ესაუბრა ტელეკომენტატორი თენგიზ სულხანიშვილი. ეს სევერინის პირველი ინტერვიუ იყო საბჭოთა კავშირში. მოგვიანებით, ტელეგადაცემათა ციკლის მზადებისას, მე მთლიანად ვნახე ეს ჩანაწერი. თავის პირველ ინტერვიუში ტიმ სევერინმა თქვა:

— ჩვენი ექსპედიციის მიზანია უძველესი მითის რეალურობის დამტკიცება. საქართველოში რამდენიმე საკითხის დაზუსტებას ვაპირებთ. მთავარი შეხვედრა კი ქართველ არქეოლოგებთან გვექნება. მათი მეცნიერული კვლევის შედეგებით უნდა დამტკიცდეს ჩვენი ჰიპოთეზა. იმედი მაქვს, მათთან ერთად დავასაბუთებ, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში ადამიანებს შეეძლოთ ასეთი მოგზაურობის მოწყობა. რაც შეგვეხება მე და ჩემს მეგობრებს, ბედნიერები ვართ, რომ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით მსოფლიოს კიდევ ერთ ქვეყანას. მოგზაურობა ძნელი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მთავარია, რომ ჩამოვედით.

„არგოს" ეკიპაჟისათვის ჩვენი ქვეყნის საზღვარი სტუმართმოყვრულად გაიხსნა. ახლა უკვე ჩვენი — მენიჩბეების გადასვლაც შეიძლება ხომალდზე, მაგრამ ჯერ, რა თქმა უნდა, ცენტრალური ტელევიზიის „მოგზაურთა კლუბის" პოპულარულ წამყვანს, ტურ ჰეიერდალის ორი ექსპედიციის მონაწილეს იური სენკევიჩს ვაცლით. ჩვენს ცნობილ მეცნიერთან, პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად, რომელსაც სევერინმა ჯერ კიდევ მარტში პირადი წერილით სთხოვა მეცნიერული მეგზურობა საქართველოში, იური სენკევიჩი სევერინის უშუალო თანხმლები იქნება ამ მოგზაურობაში. ორი ცნობილი მოგზაური „არგოზე" საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ ფოფხაძემ წარუდგინა ერთმანეთს. იური სენკევიჩის თაოსნობით და მისივე მეთაურობით ცენტრალური ტელევიზიის გადამღები ჯგუფი საგანგებოდ ჩამოვიდა ბათუმს „ტოვარიშჩით". „ტოვარიშჩმა", რა თქმა უნდა, საქართველოს იახტებს დაუთმო პირველი შეხვედრის პატივი, შემდეგ კი თავისთანაც ისტუმრა სევერინი.

აი, „არგოს" ნელ-ნელა მოშორდა პატარა რეზინის ნავი, რომელზედაც ტიმ სევერინი, ნუგზარ ფოფხაძე და იური სენკევიჩი სხდნენ. „ტოვარიშჩიდან" გადასულები ჩვენ მათ კატერებზე ველოდებით. სწორედ ეს პატარა რეზინის ნავი გადაგვიყვანს „არგოზე".

პაატა ნაცვლიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ანატოლი რუხაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტურნირი საკურორტო ქალაქში

როგორც ვიუწყებოდით, ამ რამდენიმე დღის წინ რუმინეთში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით ითამაშეს ჩვენმა დიდოსტატებმა — ელენა ახმილოვსკაიამ (I ადგილი) და ნანა იოსელიანმა (II ადგილი). თბილისში ჩამოსვლისთანავე ნანა იოსელიანი რედაქციაში გვეწვია.

— ბანია-ჰერკულანი, საკურორტო ქალაქი, სადაც ტურნირი ჩატარდა, იუგოსლავია-რუმინეთის საზღვართან მდებარეობს, — გვიამბობს სტუმარი. —ვთამაშობდით სანატორიუმის ტიპის სასტუმროში და მაყურებლებიც უმეტესად დამსვენებლები იყვნენ. ტურნირზე საკმაოდ ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. დავასახელებ, მაგალითად, რუმინელ დიდოსტატებს ლილი პოლიქრონიადეს, მარინა პოგორევიჩს, ჩინელ დიდოსტატს ლიუ შილანს. თვითონ შეჯიბრება, რომელშიც 6 ქვეყნის 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მეთორმეტე კატეგორიისა იყო.

უნდა ითქვას, რომ დიდოსტატ მარგარეტ მურეშანის გარდა (იგი ავადმყოფობს) ტურნირში მასპინძელი ქვეყნის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე თამაშობდა. ფაქტიურად ამ შეჯიბრებას უნდა დაესახელებინა რუმინეთის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები. მაგრამ, ნაკრების მწვრთნელი მირჩა პავლოვი უკმაყოფილო იყო შედეგებით. რუმინელებიდან მხოლოდ 20 წლის ოლა სამუ გამოირჩეოდა. ბოლო ორ ტურში რომ არ დამარცხებულიყო (ბოლო ტურში ჩემთან წააგო), იგი III ადგილზე გადიოდა.

პირველობისთვის ბრძოლა ფაქტიურად ელენა ახმილოვსკაიასა და ჩემს შორის გაიმართა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მე და ლენა მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. შეჯიბრების დაწყების ვადა ბოლო წუთს შეიცვალა და ამის გამო ერთი დღით დავაგვიანეთ რუმინეთში ჩასვლა. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ტურნირები მეტად მკიდრო რეგლამენტით ტარდება. გამონაკლისი არც ბანია-ჰერკულანის შეჯიბრება იყო და ერთადერთი დასვენების დღე ჩვენთვის სამუშაო დღედ გადაიქცა — ერთმანეთს შევხვდით (პარტია ყაიმით დამთავრდა).

ლენამ ტურნირი წარუმატებლად დაიწყო, მაგრამ მერე ისეთი შეუპოვრობა და ჟინი გამოიჩინა, რომ ყველა გააკვირვა. მან ცხრა პარტია მოიგო. მე, როგორც იცით, ნახევარი ქულით ჩამოვრჩი ახმილოვსკაიას და მეორე ადგილი დავიკავე. ჩემი თამაშით უკმაყოფილო არა ვარ, შედეგისა კი რა მოგახსენოთ. II ადგილი როდი მაქვს მხედველობაში. საქმე ისაა, რომ 6 პარტია დავამთავრე ყაიმით, ეს კი ძალიან ბევრია. არადა, წელს ეს ჩემი მეოთხე ტურნირი იყო და წინა სამ შეჯიბრებაში სულ რვა ყაიმი მქონდა. ბანია-ჰერკულანში შვიდი პარტია მოვიგე, არც ერთი არ წამიგია.

7,5 ქულით III ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა პეტრა ფოისტელმა (გფრ).

რაც შეეხება მომავალ გეგმებს, მონაწილეობას მივიღებ საბჭოთა კავშირის ქალთა 52-ე ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 10 ოქტომბერს დაიწყება კიევში.

**საუბარი ჩაიწერა
დავით ჟელიძემ.**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

47

უმაღლესი ლიგა

გუშინ ტაშკენტის „ფახთაქორ-ისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრით დაიწყო საბჭოთა კავ-შირის საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე ტურის მატჩები.

მატჩი დამთავრდა ტაშკენტელთა გამარჯვებით — 2:1.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა უმაღლესი ლი-გის დუბლიორ ფეხბურთელთა სა-კავშირო გათამაშების კალენდარუ-ლი მატჩი თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატს" შორის.

თამაში დამთავრდა „არარატის" გამარჯვებით — 1:0.

თბილისის „დინამოს" შემადგენ-ლობა: ქანთარია, სიჭინავა, თევზა-ძე, პაიკიძე, უკლება (ჩადუნელი), ქორქიკაშვილი, გოგრიჭიანი (ბაკუ-რაძე), ქორდანია, გურული, ცაავა (მესხი), ქვანია.

„იმედის თასზე"

ფრუნზეში მიმდინარეობს საკავ-შირო ალკკ ცენტრალური კომი-ტეტის ტრადიციული ასპარეზობა „იმედის თასზე", რომელშიც მო-ნაწილეობენ ჭაბუკი ფეხბურთე-ლები.

საქართველოს გუნდმა შეჯიბ-რება წარუმატებლად დაიწყო, ჯერ ფრედ ითამაშა სომხეთის ნაკრებ-თან — 0:0, ხოლო შემდეგ დამარ-ცხდა „შრომითი რეზერვების" სა-კავშირო ნაკრებთან — 2:3.

ორი ტურის შემდეგ ლიდერო-ბენ „შრომითი რეზერვები" და ყი-რგიზეთის ნაკრები, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ.

ვეტერანები ემზადებიან

უნგრეთის ფეხბურთის ფედე-რაციიდან საბჭოთა კავშირის ფე-დერაციის სახელზე ამას წინათ მო-ვიდა წერილი: უნგრეთის ვე-ტერანი ფეხბურთელები საბჭო-თა თანატოლებს სთხოვენ გამა-რთონ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ამ ქვეყნის ქალაქ კაპოშ-ვარში. შეხვედრა ნავარაუდევია სექტემბრისათვის.

საბჭოთა ვეტერანი ფეხბურთე-ლები, რომლებსაც ხელმძღვანელო-ბენ ლ. იაშინი და ვ. პოლიაკოვი, ამ მატჩისათვის მოემზადებიან შე-მდეგი შემადგენლობით: ი. ნეტო, ი. საბო, ვ. ვერეშევი, ვ. კოლო-ტოვი, ვ. ბუბუკინი, რ. ძოძუაშვი-ლი, ე. ლოვჩევი, ა. მირზოიანი, ნ. ოსიანინი, ი. პშენიჩნიკოვი, მ. გერშკოვიჩი და სხვანი.

27 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 25-ე ტურის კალენდარული მატჩები.

საბჭოთა კავშირის პირველობა

II ლიგა

თბილისის „ლოკომოტივმა" თა-ვის მინდორზე მიიღო ზონის ერთ-პიროვნული ლიდერი — აბოვიანის „კოტაიკი". უკვე მერამდენე სეზო-ნია ეს გუნდი ერთ-ერთი საუკეთე-სოა ჩვენს ზონაში და გამარჯვე-ბასაც ხშირად აღწევს. „კოტაიკს" მჭიდრო კონტაქტი აქვს სომხეთის პირველ გუნდთან — ერევნის „არარატთან", აქ თამაშობენ გამო-ცდილი, ცნობილი ოსტატები, რო-მლებსაც სატურნირო ბრძოლის დი-დი გამოცდილება აქვთ.

თბილისელებმა სტუმრებთან მო-ნდომებით დაიწყეს თამაში და მე-ტოქეს შეუტიეს, მაგრამ აბოვია-ნელები სისწრაფეში არ აჰყვნენ მა-სპინძლებს და პოზიციური ბრძოლა ამჯობინეს, თუმცა ყოველ ხელსა-ყრელ ვითარებაში ცდილობდნენ საგოლე სიტუაცია შეექმნათ მოპი-რდაპირე კართან. ერთ-ერთი ასეთი მომენტი კარგად გამოიყენა ედიგა-რიანმა და შორი მანძილიდან ძლი-ერი დარტყმით გოლი გაიტანა —1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელე-ბი ბევრს ეცადნენ, სახიფათო მო-მენტებიც შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ დროსაც, როცა ჩვენი გუნდი ხან-გრძლივ შეტევაზე იყო, დაცვი-თი ხაზის მოთამაშეები თავს არი-დებდნენ საიერიშო კომბინაციებში მონაწილეობას და ღრმა ზურგში დარჩენას ამჯობინებდნენ, საამისო საჭიროება კი ხშირ შემთხვევაში არ ჩანდა.

მატჩის დამთავრების შემდეგ „ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის „ლოკომოტივის" უფროს მწვრთნელს **მანუჩარ მაჩაიძეს:**

— ჩვენს ახლანდელ მდგომარე-ობას, — თქვა მან, — კაცი სახარ-ბიელოს ვერ დაარქმევს. საქართვე-ლოს გუნდებს შორის ზონაში ბო-ლო ადგილზე ვართ და, თუ სეზო-ნის ბოლომდე არაფერი შეიცვალა, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებ-ლად საქართველოს ჩემპიონთან მო-გვიწევს თამაში. დღევანდელი ვითა-რება რადიკალურად განსხვავდება იმ ჩანაფიქრისა და მიზნისაგან, თბი-ლისის „ლოკომოტივის" ჩამოყალი-ბებითა და მისი მეორე ლიგაში ჩა-რთვით რომ დაიწყო. საკითხს ასე მწვავედ იმიტომ ვაყენებ, რომ არ მინდა გუნდის წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე საუბარი ხელმოცა-რული მწვრთნელის ჩვეულებრივ წუწუნად ჩამითვალონ.

გუნდის ამოცანებიდან გამომდი-ნარე, ყველა თბილისელი ფეხბურ-თელი, საცა წესი და რიგია, პირ-ველ ყოვლისა, „ლოკომოტივში" უნდა მოხვდეს, ვინაიდან ჩვენი მი-ზანია I ლიგაში გადავიდეთ და თბილისის „დინამოს" საბაზო გუნ-დად ვიქცეთ. პირველი პირობა აუ-ცილებლად უნდა შესრულებულიყო, ამას კი თანდათან და თავისთავად მოჰყვებოდა ახალგაზრდა თბილი-სელ ფეხბურთელთა რაიონულ გუ-ნდებში გაბნევის თავიდან აცილება. ამ საკითხზე კიდევ ერთი მოსაზრე-ბა მაქვს, რომელსაც ქვემოთ მოგა-ხსენებთ.

ეს მთავარი პირობა დროის სი-მცირის გამო არ შესრულდა, გათა-მაშების დაწყებამდე ოფიციალურად სულ ერთი კვირით ადრე გახდა ცნობილი, რომ მეორე ლიგაში ვი-თამაშებდით. გაურკვევლობამ და სეზონის დაკარგვის შიშით ზოგი ფეხბურთელის გუნდიდან წასვლამ იმთავითვე დიდი ზიანი მოგვაყენა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ „ლო-კომოტივი" ძირითადად დაკომპლე-ქტდა ქალაქის პირველობაზე მოთა-მაშე ფეხბურთელებით. ზოოვეტერი-ნარული ინსტიტუტიდანაც კი ვერ მოვახერხეთ ზოგიერთი სპორტსმე-ნის გადმოყვანა. გუნდის საშუალო ასაკი 19 წელია. ასეთი გამოუცდე-ლი „ეკიპაჟით" კი შორეულ ნაოს-ნობაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, ზე-დმეტია.

შემიძლია ვთქვა, რომ საქართ-ველოს ოსტატთა გუნდებიდან მხო-ლოდ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" აქვთ ჩვე-ნზე უკეთესი სავარჯიშო პი-რობები. პერსპექტიულ ფეხბურთე-ლთა შემდგომი დაოსტატე-ბისთვის თბილისის „ლოკომო-ტივზე" უკეთეს გუნდს ახალგაზრდა სპორტსმენი ვერ მოძებნის. ვფიქ-რობ, ჩვენი ფეხბურთის წინაშე დანაშაულს ჩადიან ის ფეხბურთე-ლები და ხელმძღვანელები, რომლე-ბიც ამ ფაქტს არ ითვალისწინებენ.

თბილისის „ლოკომოტივს" მის წინაშე დასახული ამოცანების გა-დასაჭრელად აუცილებლად ესაჭი-როება ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელები, ასეთები კი გვყავს რესპუბლიკის ჭაბუკთა და მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში. ჩა-მოვთვლი მათ: პაატა ლომიძე, პა-ატა მეტრეველი, რაჟდენ ტოგონიძე, ვლადიმერ კახიანი, დათო რეხვი-აშვილი, ზაზა რევიშვილი, მამუკა ფანცულაია, მერაბ ამისულაშვილი, გია ჯიშკარიანი, დათო თეთრაუ-ლი, ცეზარ სოხაშვილი, გოჩა ბაწაშ-ვილი, გიორგი კოპალეიშვილი, ვა-სილ მიქამავიძე, ალან კულუმბეკო-ვი და სხვანი. ასეთი მოთამაშეებით უნდა დავაკომპლექტოთ ჩვენი გუნ-დი, თუ გვსურს მის რეალურ პერ-სპექტივაზე ვილაპარაკოთ.

ამ დღეს მახარაძეში გაიმართა მე-ტად საინტერესო მატჩი ადგილობ-რივ „მერცხალსა" და ლენინაკანის „შირაკს" შორის. ჩვენმა მახარაძე-ლმა კორესპონდენტმა **ვალერიან შავიშვილმა** შეგვატყობინა შემ-დეგი:

„მერცხალმა" წლეულს კარგად დაიწყო გათამაშება და ლიდერთა ჯგუფშიც იყო, მაგრამ მერე რამ-დენადმე დათმო პოზიციები. მდგო-მარეობის გამოსასწორებლად ჩვენ-მა გუნდმა მთელი შემართებით, დიდი მონდომებით ითამაშა ლენი-ნაკანელთა წინააღმდეგ და დამსა-ხურებულ გამარჯვებასაც მიაღწია — 3:1. ანგარიში თამაშის დასაწყისში-ვე გახსნა თოფურიძემ, ხოლო ტა-იმის დასასრულამდე ხომასურიძემ მეორე ბურთი გაიტანა „შირაკის" კარში. შესვენების შემდეგ მარტი-როსიანმა ერთი გოლი გაქვითა, მა-გრამ მასპინძლებმა კვლავ იმარჯ-ვეს და 67-ე წუთზე თოფურიძემ განამტკიცა თავისი გუნდის გამარ-ჯვება.

25-ე ტურის სხვა შედეგები: „არაზი" (ნახიჩევანი) — „დინამო" (სოხუმი) 1:1, „ყარაბახი" (სტეფა-ნაკერტი) — „მეშახტე" (ტყიბუ-ლი) 2:0, „ოლიმპია" (არტაშატი)— „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 0:2, „სპა-რტაკი" (ოქტემბერიანი) —„ავტო-მობილისტი" (მინგეჩაური) 4:1, „კო-ლხეთი" (ფოთი) — „ხაზარი" (ლე-ნქორანი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი"	22	16	3	3	48-20	35
„კოლხოზჩი"	22	13	1	8	25-20	27
„მერცხალი"	23	11	4	8	27-22	26
„დინამო" ს.	23	11	4	8	33-30	26
„კოლხეთი"	21	10	6	5	36-30	26
„ქიაფაზი"	22	12	1	9	34-26	25
„ლოკომ." ს.	22	11	3	8	31-26	25
„დილა"	22	10	5	7	37-33	25
„სპრტ."	21	11	2	8	34-27	24
„ყარაბახი"	23	10	2	11	29-31	22
„მეშახტე"	23	9	4	10	29-25	22
„შირაკი"	22	7	6	9	25-24	20
„ხაზარი"	23	7	5	11	20-25	19
„არაზი"	23	7	4	12	23-28	18
„ავტომობ."	22	6	5	11	30-39	17
„ლოკომ." თბ.	23	7	1	15	19-37	15
„ოლიმპია"	21	2	2	17	14-51	6

ალალი იყოს!

ორი ქალიშვილის შემდეგ ბიჭის დაბადებას .გავდა ის სიხარული.

ორად ორი ბილეთი ჰქონდა.

ჯერ დიქტორს მოუსმინა, მერე ბილეთს დახედა, მერე ელექტრო-ტაბლოს შეხედა.

„მგონი მოვიგე. მაგრამ მაგის იღ-ბალი ვინ მომცა! არა, რაღაც შეც-დომაა".

არც თვალს ენდო, არც ყურს. ბი-ლეთი გვერდით მშვიდად მჯდარ ცოლს მიაჩეჩა, ნახე, თუ ღმერთი გწამსო.

არა, ყველაფერი სწორია, ნამდ-ვილად ავტომობილია...

— უკვე იმ ასაკში ვარ, რომ ალ-ბათ მეტი სიდარბაისლე მმართებს, მაგრამ უჩვეულო გრძნობა ყოფილა— ყვირილი მინდოდა. ისე ვიყავი, მე-გონა გავფრინდებოდი. კისრისტე-ხით ჩავირბინე კიბე, გულამოვარდ-ნილი მივვარდი მანქანასთან. რა ვქნა, თუ გინდათ, დამძრახეთ, ძა-ლიან გამიხარდა... —ახლაც, რამ-დენიმე დღის შემდეგაც, ვერ მალავს სიხარულს იმ ბედნიერი ბილეთის მფლობელი ავთანდილ მეურმიშვი-ლი.

— ლატარია? წინათ არასოდეს მითამაშია. მარტო „ერთგულების" ლატარიის" ერთგული ვარ. ფეხბუ-რთის ბილეთთან ერთად თითო ცალს ვყიდულობთ ხოლმე ჩემი ვა-ჟი, სიძე და მე. ახლა ისინი სოფე-ლში არიან და მეუღლესთან ერთად ვიყავი სტადიონზე. კარგი ფეხი ჰქონია...

უხიფათო გზა გვისურვებია!

დიდი ოჯახის უფროსი ბრძანე-ბულხართ.

ალალი იყოს თქვენზე!

ნანა ჯოხარიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ავთანდილ მეურ-მიშვილი მოგებულ ავტომობილთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საერთაშორისო საფეხბურთო სეზონი

საფრანგეთი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟირ." (ბორ.)	38	23	8	7	72:33	54
„მონაკო"	38	22	10	6	58:29	54
„ოსერი"	38	21	7	10	59:33	49

უმაღლესი ლიგა დატოვეს ნიმის „ოლიმპიკმა", „სტად რენმა" და „სენტ-ეტიენმა", რომელთა მაგივ-რად ითამაშებენ მარსელის „ოლი-მპიკი", „ტური" და პარიზის „რე-სინგი".

თასის ფინალი: „მეცი" — „მონა-კო" 2:0 (დამატებით დროში).

საუკეთესო ბომბარდირები: გა-რანდი („ოსერი") და ონისი („ტუ-ლონი") — 21-21 გოლი.

ავსტრია

„აუსტ." (ვენა)	30	21	5	4	85:29	47
„რაპ." (ვენა)	30	19	9	2	71:18	47
„ლინცერ აშკ"	30	17	8	5	54:25	42

უმაღლესი ლიგა დატოვეს „უნი-ონმა" (ველსი) და „ნოიზიდლმა".

თასის ფინალი: „რაპიდი" (ვენა) — „აუსტრია" (ვენა) 2:0, 1:3. თასი მოიპოვა „რაპიდმა".

საუკეთესო ბომბარდირი: ნილაში — 26 გოლი.

ჰოლანდია

„ფეიენოორ."	34	25	7	2	96:31	57
„ეინდჰოვენი"	34	23	6	5	88:32	52
„აიაქ." (ამს.)	34	22	7	5	100:46	51

უმაღლეს ლიგაში „ჰელმონდ სპო-რტის", „ვილემ II"-ის (ტილბურ-გი) და „დორდრეხტის" ნაცვლად ითამაშებენ „მაასტრიხტი" და „ტვე-ნტე" (ენსხედე).

თასის ფინალი: „ფეიენოორდი" (როტერდამი) — „ფორტუნა" (სი-ტარდი) 1:0.

საუკეთესო ბომბარდირი: ვან ბა-სტენი (ამსტერდამის „აიაქსი") — 28 გოლი.

ბელგია

„ბევ.-ვაასი"	34	22	7	5	59:33	51
„ანდერ."	34	20	7	7	80:39	47
„ფკ ბრიუგე"	34	17	10	7	73:39	44

უმაღლეს ლიგას გამოეთხოვნენ „რასინგ ვიტი" (მოლენბეკი) და „ბერინგენი".

თასის ფინალი: „გენტი" — „სტა-ნდარდი" (ლიეჟი) 2:0 (დამატებით დროში).

საუკეთესო ბომბარდირი: კლე-სენი („სერენი") — 27 გოლი.

იუგოსლავია

„ცრვ. ზვეზ."	34	17	10	7	52:26	44
„პარტიზ."	34	15	12	7	43:25	42
„ჟელეზნ."	34	15	12	7	52:35	42

უმაღლეს ლიგაში ლიუბლიანის „ოლიმპიასა" და ზენიჩარის „ჩე-ლიკის" ნაცვლად ითამაშებენ ნიკ-შიჩის „სუტიესკა" და ბუგოინოს „ისკრა".

თასის ფინალი: „ჰაიდუკი" (სპლი-ტი) — „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრა-დი) 2:1, 0:0.

საუკეთესო ბომბარდირი: პანჩე-ვი (სკოპლეს „ვარდარი") — 19 გოლი.

რუმინეთი

„დინ." (ბუქ.)	34	19	11	4	69:36	49
„სტ." (ბუქ.)	34	21	5	8	59:23	47
„უნივერსიტ."	34	18	7	9	57:27	43

უმაღლესი ლიგა დატოვეს „დუ-ნარეამ" (გალაცი), „პეტროლულმა" (პლოეშტი) და „ტირგოვიშტემ". მათ მაგივრად ითამაშებენ „გლო-რია" (ბუზაუ), „ბრაშოვი" და „პო-ლიტექნიკა" (ტიმიშოარა).

თასის ფინალი: „დინამო" (ბუ-ქარესტი) — „სტიაუა" (ბუქარესტი) 2:1.

საუკეთესო ბომბარდირი: კორასი (ბუქარესტის „სპორტული") — 20 გოლი.

იტალია

„იუვენტუსი"	30	17	9	4	57:29	43
„რომა"	30	15	11	4	48:28	41
„ფიორენ."	30	12	12	6	48:31	36

უმაღლეს ლიგაში „ფკ 93 ჯენო-ვას", „პიზასა" და „კატანიას" მა-გივრად ითამაშებენ ბერგამოს „ატა-ლანტა", „კომო" და „კრემონეზე".

თასის ფინალი: „ჰელასი" (ვე-რონა) — „რომა" 1:1, 0:1.

საუკეთესო ბომბარდირი: პლა-ტინი (ტურინის „იუვენტუსი") — 20 გოლი.

შოტლანდია

„აბერდინი"	36	25	7	4	78:21	57
„სელტიკი"	36	21	8	7	80:41	50
„დანდი იუნ."	36	18	11	7	67:39	47

უმაღლესი ლიგა დატოვეს „სენტ-ჯონსტონმა" და „მაზერუელმა".

თასის ფინალი: „აბერდინი" — „სელტიკი" (გლაზგო) 2:1.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლე-ლო" № 161.

3 პრეტენდენტი

ევროპის მომავალი საფეხბურ-თო ჩემპიონატი 1988 წელს უნდა გაიმართოს. მასპინძლობის სურვილი განაცხადეს გერმანიის ფედერაცი-ული რესპუბლიკის, ინგლისისა და ჰოლანდიის ფედერაციებმა.

უეფა-ს კონგრესი წლეულს, შე-მოდგომაზე დაადგენს თუ რომელ ქვეყანას მიანიჭოს უპირატესობა.

მეკარის „ავტოგოლი"

ლონდონის „უემბლის" სტადი-ონზე 100 ათასი მაყურებელი დაე-სწრო „ჩერითი შილდის" ტრადიცი-ული პრიზის გათამაშებას, რომლ-ითაც ინგლისში ყოველ წელიწადს იხსნება საფეხბურთო სეზონი. ამ მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან ქვე-ყნის ჩემპიონი და თასის მფლობე-ლი. ამჯერად მინდორზე გამოვიდნენ ლივერპულის გუნდები „ლივერპუ-ლი" და „ევერტონი". საინტერესო ბრძოლა დამთავრდა თასის მფლო-ბელის — „ევერტონის" გამარჯვე-ბით — 1:0. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი გოლი 56-ე წუთზე სა-კუთარ კარში გაიტანა „ლივერპუ-ლის" მეკარემ გრობელაარმა.

ინფორმაცია

სამბისტები იბრძოლებენ ულან-ბატორში

(დასასრული)

ჩემპიონები ნურისლან ხალიულინი 48 კგ, ვლადივოსტოკი) და სერგეი ტერნოვიხი (52 კგ, სოხუმი), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ვიქტორ ასტახოვი (57 კგ. მოსკოვი), ევროპის ჩემპიონი ალექსანდრე აქსიონოვი (62 კგ. ვლადივოსტოკი), ნაკრების დებიუტანტი ვლადიმერ პანშინი (68 კგ, ლენინგრადი), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკოლაი ბარანოვი (77 კგ, კსტოვო), მსოფლიოს ჩემპიონი გურამ ჩერტკოევი (82 კგ, ორჯონიკიძე), ნაკრების ვეტერანი, 35 წლის ალექსანდრე პუშნიცა (90 კგ, ომსკი) რომელიც სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონი ანტონ ნოვიკი (100 კგ. მინსკი) და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ვლადიმერ სობოდირიოვი (მძიმე, ანდიჟანი).

უმედლოდ არავინ დარჩენილა

ძიუდო. ვარშავაში დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა-84“-ის პროგრამით. საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა ამჯერად აშკარა იყო — უმედლოდ არც ერთი მათგანი არ დარჩენილა.

გაგაცნობთ პრიზიორებს:

60 კგ. 1. ა. ძემიანიუკი (პოლონეთი), 2. ხ. ტლეცერი (სსრ კავშირი), 3. ა. გერჩევი (ბულგარეთი) და 3. პეტრიშკოვი (ჩეხოსლოვაკია).

საბჭოთა ძიუდოისტების გუნდში ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავე იყო ნიკოლაი სოლოდუხინი — მოსკოვის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. ვარშავაში მას გადაეცა სპეციალური პრიზი, როგორც ტურნირის საუკეთესო ძიუდოისტს.

ს უ რ ა თ ზ ე: 65 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებული ნიკოლაი სოლოდუხინი.

როგორც ცნობილია „მეგობრობა-84“-ის პროგრამით გათვალისწინებული აფროსანთა რეგატა ტალინში ჩატარდა. „ვარსკვლავის“ კლასში იალქნიანი ნავის მართვის მაღალი ტექნიკა გამოავლინა საბჭოთა ეკიპაჟმა გურამ ბიგანიშვილისა და ალექსანდრე ზიბინის შემადგენლობით. ამ წყვილის უპირატესობაზე მეტყველებს შეჯიბრების შედეგიც: გამარჯვებულებმა მიიღეს მხოლოდ 14,4 საჯარიმო ქულა, იმ დროს, როცა მეორე ადგილზე გასულ ა. ბალაშოვისა და ა. მუზიჩენკოს ეკიპაჟს 32,4 საჯარიმო ქულა ჰქონდა.

ს უ რ ა თ ზ ე: გურამ ბიგანიშვილი (მარცხნივ) და მისი თანამეწყვილე ალექსანდრე ზიბინი.

65 კგ. 1. ნ. სოლოდუხინი (სსრ კავშირი), 2. ა. პალიუჩეკი (გდრ), 3. ე. დამიანოვი (ბულგარეთი) და ჟ. გოლდანი (მონგოლეთი).

71 კგ. 1. ბ. ნადშოიმოში (უნგრეთი), 2. თ. ნამგალაური (სსრ კავშირი), 3. ვ. ბლახი (პოლონეთი) და კ. ლემანი (გდრ).

78 კგ. 1. ი. მერკულოვი (სსრ კავშირი), 2. რო უნ რიონგი (კსდრ), 3. ა. სადეი (პოლონეთი) და ჟ. გამბოლდი (მონგოლეთი).

86 კგ. 1. ვ. პესნიაკი (სსრ კავშირი), 2. კ. პურკერტი (ჩეხოსლოვაკია), 3. კ. კურჩინა (პოლონეთი) და ო. ბალქინიამი (მონგოლეთი).

95 კგ. 1. ზ. ბელიავსკი (პოლონეთი), 2. ი. ასკუი (კუბა), 3. ვ. დივისენკო (სსრ კავშირი) და ლ. მოლნარი (უნგრეთი).

მძიმე. 1. გ. ვერიჩევი (სსრ კავშირი), 2. დ. ზაპრიანოვი (ბულგარეთი), 3. კ. საბატი (პოლონეთი) და ჰ. შტორი (გდრ).

აბსოლუტური. 1. ჰ. ბიკტაშევი (სსრ კავშირი), 2. ვ. კოცმანი (ჩეხოსლოვაკია), 3. ვ. რეშკო (პოლონეთი) და დ. პუფელი (გდრ).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი, ცხადია, საბჭოთა ძიუდოისტებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზე კი ტურნირის მასპინძლები გავიდნენ.

აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის:

	I	II	III
სსრ კავშირი	5	2	1
პოლონეთი	2	—	5
უნგრეთი	1	—	1
ჩეხოსლოვაკია	—	2	1
გდრ	—	1	3
ბულგარეთი	—	1	2
კუბა	—	1	—
კსდრ	—	1	—
მონღოლეთი	—	—	3

უჩვეულო ანგარიშით

კალათბურთი. მოსკოვში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ტურნირის პირველი ეტაპი — შეხვედრები ქვეჯგუფებში.

კოლუმბიის ახალგაზრდულმა გუნდმა ბოლო მატჩი წააგო ფინეთის წარმომადგენლებთან — 50:98 (21:40). ალჟირელმა კალათბურთელებმა სძლიეს მაროკოს გუნდს — 79:70 (33:30). საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელებმა აჯობეს პოლონელებს — 87:75 (47:37).

ამ დღის ცენტრალური მატჩი იყო საბჭოთა კავშირისა და კუბის კალათბურთელთა შეხვედრა, რომლებიც მანამდე დაუმარცხებლად იბრძოდნენ. მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო — 79:42. შესვენების შემდეგ ბრძოლას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 123:90. ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო არვიდას საბონისი, რომელმაც 24 ქულა შესძინა თავის კოლექტივს.

გამოვლინდნენ ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალისტები. გუშინ მეტოქეები ისვენებდნენ, დღეს კი ერთმანეთს შეხვდებიან: სსრ კავშირი—პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია—კუბა. ფინალური მატჩი ჩატარდება ხვალ, 30 აგვისტოს.

გაიმართა ქალთა ტურნირის ერთ-ერთი მთავარი მატჩი, თუმცა ნამდვილი ბრძოლა ამჯერად არც კი ყოფილა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პოლონეთის გუნდი დაამარცხა ერთობ უჩვეულო ანგარიშით — 81:24 (42:13).

ორივე გამარჯვებული ჩიტელია

მშვილდოსნობა. პლზენში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა-84“-ის პროგრამით. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა მშვილდოსნებმა, რომლებმაც ექვსიდან ხუთი მედალი მოიპოვეს.

ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. ოქროს მედალი დაიმსახურა ჩიტელმა ჰანდა-ცირენ გომბოჟაპოვამ (2605), ვერცხლისა — მსოფლიოს ექსჩემპიონმა, დუშანბელმა ზებინისო რუსტამოვამ (2595), ხოლო ბრინჯაოსი — მსოფლიოს რეკორდსმენმა ლუდმილა არჟანიკოვამ (ნოვაია კახოვკა, 2589).

ტურნირში უკონკურსოდ გამოდიოდა ჩებოქსარელი რინა სოლდატოვა, რომელმაც აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა — 2607.

ვაჟთა ტურნირში გამარჯვებული მხოლოდ ბოლო გასროლამ დაასახელა. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა 22 წლის მუნკო-ბედრა დაშიცირენოვმა საბოლოოდ 2569 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს ნაკრების მეორე დებიუტანტი, ჩებოქსარელი იური ლეონტიევი. მესამე შედეგი ჰქონდა კინ ჩონგ ნამს (კსდრ) — 2533, მეოთხე იყო უკონკურსოდ მოასპარეზე სტანისლავ ზაბროდსკი (ხარკოვი) —2532.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე გამარჯვებული სპორტსმენი ცხოვრობს ჩიტაში — მშვილდოსნობის მდიდარი ტრადიციებით განთქმულ ქალაქში, თან ორივეს ერთი მწვრთნელი ჰყავს — მელს დაბაევი.

ირინე მალაციძე ფინალში ითამაშებს

„დინამოს“ კორტებზე შეკრებილ გულშემატკივრებს, რომლებიც ქალთა და ვაჟთა ნახევარფინალურ მატჩებში დაძაბულ, საინტერესო ბრძოლას ელოდნენ, ერთგვარად იმედი გაუცრუვდათ. თუმცა თბილისელი ირინე მალაციძისა და საბჭოთა კავშირის მე-16 ჩოგნის, მოსკოველი ელენა პოლიაკოვას შეხვედრამ მაინც დიდი სიხარული მოგვიტანა. ჩვენი ჩოგბურთელი გუშინ მართლაც კარგად თამაშობდა და გამარჯვება ოდნავაც არ გასჭირვებია (ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა მაყურებლებს) — 6:1, 6:1.

თამაში ძირითადად უკანა ხაზიდან მიმდინარეობდა. მეტოქეები იშვიათად გადიოდნენ ბადესთან, რაც, ეტყობა, ხელს აძლევდა მალაციძეს. ასეთ თამაშში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიზუსტესა და სხვადასხვაგვარი დარტყმების დროულ მონაცვლეობას, დარტყმების არსენალი კი ირინეს უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი აღმოაჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიაკოვაც ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ხშირად ელემენტარულ სიტუაციებშიც კი ცდებოდა. ასეა თუ ისე, თბილისელი სპორტსმენი, რომელიც მიმდინარე ტურნირში მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს, სავსებით დამსახურებულად გავიდა ფინალში, სადაც ქვეყნის 24-ე ჩოგანს ე. ვლადიმირსკაიას შეხვდება. კიშინიოველმა ჩოგბურთელმა ნახევარფინალში ტაშკენტელ ნ. სტეპანოვას სძლია — 6:0, 2:6, 6:2.

დასაწყისში ვთქვი, გულშემატკივრებს იმედი გაუცრუვდათ-მეთქი. ეს ნათქვამი უფრო ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალს, ვლადიმერ გაბრიჩიძისა და ალექსანდრ ვოლკოვის მატჩს ეხებოდა. საქმე მარტო ის როდია, რომ 17 წლის კალინინგრადელმა სპორტსმენმა დაამარცხა თავისზე ერთი წლით უმცროსი მეტოქე. გული უფრო იმან დაგვწყვიტა, რომ თბილისელმა ფაქტიურად უბრძოლველად დათმო შეხვედრა. წაგება, ცხადია, არავის უნდა და ამ მხრივ არც გაბრიჩიძე გახლდათ გამონაკლისი. მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოდის. გაბრიჩიძემ კი, რომელმაც წინა დღეებში ამდენი ქება დაიმსახურა, ამჯერად უღალატა საკუთარ მანერას და ყოვლად გაუმართლებლად აუბა მხარი მეტოქეს, რომელიც უკანა ხაზიდან ძლიერი, დიაგონალური დარტყმებით ქულას ქულაზე აგროვებდა. მთელი თამაშის მანძილზე გაბრიჩიძემ სულ რამდენიმეჯერ სცადა ბადესთან გასვლა, რამდენიმეჯერ ლამაზი მოჭრილი დარტყმაც შეასრულა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო მატჩის მოსაგებად. ანგარიში— 6:3, 6:1 — სრულად ასახავს ძალთა თანაფარდობას კონკრეტულ შეხვედრაში.

გაბრიჩიძე-ვოლკოვის ორთაბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა ერთი შეხვედრა, რომელიც სატურნირო თვალსაზრისით მაინცდამაინც მნიშვნელოვანი იქნებ არც იყო, მაგრამ ჩვენს ყურადღებას უდავოდ იმსახურებდა.

მეტრეველი — ლეიუსი! ვინ მოთვლის, რამდენჯერ წარმოუთქვამთ ეს გვარები სხვადასხვა საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობის მსაჯ-ინფორმატორებს, რამდენჯერ მოუნიჭებია ჩვენთვის სიამოვნება ალექსანდრე მეტრეველისა და თომას ლეიუსის დაძაბულ, ჭეშმარიტად რაინდულ ორთაბრძოლებს... ამჯერად კი 43 წლის თომას ლეიუსი თავისი ძველი მეგობრის ვაჟს — 17 წლის ირაკლის ხვდებოდა. ეს მატჩი, რომელშიც მეტოქენი მეხუთე-მერვე ადგილებს ეცილებოდნენ ერთმანეთს, მეტრეველმა მოიგო —6:4, 6:3.

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირის ფინალს, აქ ვოლკოვი შეჯიბრების ფავორიტს ა. სუურტჰალს შეხვდება. ტალინელმა ეს უფლება მინსკელ ა. კაცნელსონთან ნახევარფინალურ მატჩში გამარჯვებით (6:2, 6:2) მოიპოვა.

ქალთა და ვაჟთა ფინალური შეხვედრები, აგრეთვე შერეულ წყვილთა ფინალური მატჩი გაიმართება ხვალ, 30 აგვისტოს. დღეს კი ქალთა და ვაჟთა წყვილები იასპარეზებენ.

თუ ქალთა „დუეტებს“ შორის ფინალისტები, ა. სალნიკოვა—ე. პოლიაკოვა (ორივე — მოსკოვი) და ე. ვლადიმირსკაია — ი. სტარჟინსკაია (ორივე — კიშინიოვი) სამი დღის წინ გამოვლინდნენ, ვაჟებმა ნახევარფინალური მატჩები გუშინ საღამოს გამართეს. გაბრიჩიძე და მეტრეველი დამარცხდნენ სიმფეროპოლელებთან ო. ბარანოვთან და გ. ჩუკარინთან (0:6, 6:3, 4:6), ხოლო ვოლკოვ — ლეიუსის წყვილმა ლენინგრადელებს ო. ბოგდანოვსა და ს. ბურის სძლია — 6:1, 6:2.

შერეულ წყვილთა თანრიგში გუშინ მხოლოდ ერთი ფინალისტის ვინაობა გახდა ცნობილი: ნ. დროზდოვამ (მინსკი) და ბარანოვმა მოუგეს ო. ივანოვასა (ლენინგრადი) და ბურის — 6:2, 6:3. რაც შეეხება ნ. სტეპანოვასა (ტაშკენტი) და ლეიუსის შეხვედრას ს. ჩერკოვსკაიასთან (მინსკი) და ჩუკარინთან, იგი ჩამოწოლილი ბინდის გამო შეწყდა და დღეს დილით დამთავრდება. ჯერჯერობით ანგარიშია 7:6, 6:7, 1:2.

დავით კაკაბაძე.

უცხოური იუმორი

მატჩ-რევანში

მოკრივე გასახდელში საშინლად ნაცემი დაბრუნდა. გასავათებული იჯდა სკამზე და თავი მაშინღა ასწია, როცა მწვრთნელი მიუახლოვდა.

— ნუ წუხხარ, კლაუს, მართალია, მავრად მოგხვდა, მაგრამ სამაგიეროდ კარგი ამბავი მოგიტანე.

— რა ამბავი? — დაინტერესდა დამარცხებული.

— დამატებითი მატჩი დავანიშვნინე რევანშისთვის.

ფეხბურთის გულშემატკივარი

— **ახე** მგონია, თუკი ბევრს ვიმღერებ და პიანინოს დავუკრავ, ჩვენი შვილი დიდი მუსიკოსი გამოვა, — უთხრა მეუღლეს მარტამ, რომელიც ფეხმძიმედ იყო.

— იქნებ ფეხბურთი გეთამაშა... — ურჩია ქმარმა.

მადლობის მაგიერია?

— **თქვენ** გადაარჩინეთ დახრჩობას ჩემი ვაჟი? — ჰკითხა ქალბატონმა დაიკემ სპორტსმენს.

— დიახ!

— ეს თქვენ გადახტით წყალში და ჩემი ცოცხალ-მკვდარი შვილი გაშმაგებულ ტალღებს გამოსტაცეთ?

—— დიახ, დიახ.

— მერე ნაპირზე გამოიყვანეთ და ხელოვნური სუნთქვით მოასულიერეთ, არა?

— სწორედ ასე იყო, ქალბატონო.

— მაშ, მითხარით, გეთაყვა, სად არის მისი ქუდი?

გერმანულიდან თარგმნა **შოთა ამირანაშვილმა.**

რედაქტორი ა. გოგელია.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ჭავჭავაძის გამზ. № 74)
30 აგვისტო
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
II ლიგა, IX ზონა
„ლოკომოტივი“ (თბილისი)—
„შირაკი“ (ლენინაკანი)
დასაწყისი 19 საათზე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 09994